ს ე ს ხ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

DEB ___/___/___

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 201_ წლის _____ _____ შემდეგ მხარეებს შორის:

1. შპს "_____", საიდენტიფიკაციო კოდი _____, იურიდიული მისამართი _____, წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით, შემდგომში **„მსესხებლად"** წოდებული;

2. შპს "_____", საიდენტიფიკაციო კოდი _____, იურიდიული მისამართი _____, წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით, შემდგომში **„გამსესხებლად"** წოდებული;

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მხარეები ვთანხმებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მსესხებელი გამსესხებლისაგან სესხულობს _____ (_____) ლარს.

2. მსესხებლის მიერ თანხის სესხება დასტურდება მხარეთა შორის მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3. მსესხებლის მიერ გამსესხებელზე სესხის ძირი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტის უკან დაბრუნება დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება – ჩაბარების აქტით, რომელიც უნდა შედგეს ყოველი სესხის ძირი თანხის ნაწილის უკან დაბრუნების დროს;

4. სესხის მიცემა წარმოებს მსესხებლის საბანკო ანგარიშზე ან სალაროზე გამსესხებლის მიერ თანხის შეტანით;

5. სესხით სარგებლობისათვის მსესხებელი გამსესხებელს უხდის ფაქტიურად გასესხებული თანხის წლიურ ---%-ს, კალენდარული წლის 365 დღეზე გადაანგარიშებით. პროცენტები დაირიცხება სესხის გაცემის დღიდან ფაქტიური გადახდის დღემდე; სარგებლის დარიცხვა წარმოებს მსესხებლის სარგებლობაში ფაქტიურად არსებულ თანხაზე;

6. მსესხებლის მიერ გამსესხებელზე თანხის გაცემისას მსესხებლის მიერ დაკავებული იქნება ის თანხა (გადასახადი), რაც გამსესხებლის მიერ გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სესხზე დარიცხული სარგებლიდან (პროცენტი)

7. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად და ჯეროვნად შესრულებამდე;

8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ იგი გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა;

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები;

„მსესხებელი“	**„გამსესხებელი“**
შპს “_____”	შპს “_____”
ს/კ _____	ს/კ _____
დირექტორი_____ _____	დირექტორი_____ _____
ხელმოწერა:	ხელმოწერა: